



საქართველოს გარემოსა და ზუნბრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო



KARR0116892965714

ქობილისი, დავით აღმაშენებლის გაზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 478ს

31 / დეკემბერი / 2014 წ.

შპს „RMG Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53 №0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების დასტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დასტკიცებული დებულების 6¹ მუხლის მე-3 პუნქტის, შპს „RMG Gold“-ის 2014 წლის 29 დეკემბრის №469 წერილის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულების საფუძველზე

ებრძანება:

1. შპს „RMG Gold“-ზე (ს/კ 225359947) გაცემულ წიაღით სარგებლობის (სერია 53 №0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიის მოქმედების ვადა გაუგრძელდეს 2020 წლის 01 იანვრამდე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულებით შპს „RMG Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53 №0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე“ გათვალისწინებული კოორდინატების ფარგლებში;
2. დავალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანა ამ ბრძანების შესაბამისად;
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში საქართველოს გარემოსა და ზუნბრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (თბილისი, გულუას ქ. №6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

გივი ჩიჩია